საქართველოს მთავრობის

დადგენილება №124

2004 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების შესახებ

„საქართველოში გარემოს დაცვის მოთხოვნების შესრულება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ქვეყანაში ევროპული ნორმების დანერგვის პროცესში აუცილებელია ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვისაგან ატმოსფეროს დაცვისა და საწვავის ხარისხის საკითხების რეგულირება.

ბენზინის ხარისხის ეკოლოგიური მახასიათებლები (ტყვიის, ბენზოლის, არომატული ნახშირწყალბადებისა და გოგირდის შემცველობა) არ შეესაბამება ევროპულ ნორმებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემები. აღნიშნულ სფეროში ტექნიკური საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით და ბენზინის ხარისხის ევროპულ გარემოსდაცვით ნორმებთან ჰარმონიზაციის მიზნით „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №259 - სსმ III, №159, 30.12.2009 წ., მუხ.1953

1. დადგინდეს კვლევითი მეთოდით განსაზღვრული ოქტანური რიცხვის მიხედვით ბენზინის შემდეგი მარკები:

ა) 2007 წლის 1 იანვრამდე:

ნორმალი – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 80;

რეგულარი – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 91;

პრემიუმი – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 95;

სუპერი – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 98;

ბ) 2007 წლის 1 იანვრიდან:

რეგულარი – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 91;

პრემიუმი – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 95;

სუპერი – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 98.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 14 დეკემბრის დადგენილება №224 - სსმ III, №145, 14.12.2005 წ., მუხ.1616

2. დადგინდეს საავტომობილო ბენზინის ეკოლოგიური მახასიათებლები:

ა) 2010 წლის 1 იანვრამდე:

ა.ა) ტყვიის შემცველობა – არა უმეტეს 0.013გ/ლ;

ა.ბ) ბენზოლის მოცულობითი წილი – არა უმეტეს 5%;

ა.გ) არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არა უმეტეს 45%;

ა.დ) გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 500 მგ/კგ;

ბ) 2010 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე:

ბ.ა) ტყვიის შემცველობა – არა უმეტეს 0.013 გ/ლ;

ბ.ბ) ბენზოლის მოცულობითი წილი – არა უმეტეს 5%;

ბ.გ) არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არა უმეტეს 45%;

ბ.დ) გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 500 მგ/კგ;

გ) 2012 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე:

გ.ა) ტყვიის შემცველობა – არა უმეტეს 0.005 გ/ლ;

გ.ბ) ბენზოლის მოცულობითი წილი – არა უმეტეს 3%;

გ.გ) არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არა უმეტეს 42%;

გ.დ) გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 250 მგ/კგ;

დ) 2014 წლის 1 იანვრიდან- 2015 წლის 1 იანვრამდე:

დ.ა) ტყვიის შემცველობა – არა უმეტეს 0.005 გ/ლ;

დ.ბ) ბენზოლის მოცულობითი წილი – არა უმეტეს 3%;

დ.გ) არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არა უმეტეს 42%;

დ.დ) გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 150 მგ/კგ;

ე) 2015 წლის პირველი იანვრიდან 2016 წლის პირველ იანვრამდე:

ე.ა) ტყვიის შემცველობა – არაუმეტეს 0.005 გ/ლ;

ე.ბ) ბენზოლის მოცულობითი წილი – არაუმეტეს 3%;

ე.გ) არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არაუმეტეს 42%;

ე.დ) გოგირდის შემცველობა – არაუმეტეს 50 მგ/კგ;

ვ) 2016 წლის პირველი იანვრიდან 2017 წლის პირველ იანვრამდე:

ვ.ა) ტყვიის შემცველობა – არაუმეტეს 0.005 გ/ლ;

ვ.ბ) ბენზოლის მოცულობითი წილი – არაუმეტეს 1%;

ვ.გ) არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არაუმეტეს 35%;

ვ.დ) გოგირდის შემცველობა – არაუმეტეს 50 მგ/კგ;

ზ) 2017 წლის პირველი იანვრიდან:

ზ.ა) ტყვიის შემცველობა – არაუმეტეს 0.005 გ/ლ;

ზ.ბ) ბენზოლის მოცულობითი წილი – არაუმეტეს 1%;

ზ.გ) არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არაუმეტეს 35%;

ზ.დ) გოგირდის შემცველობა – არაუმეტეს 10 მგ/კგ.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 14 დეკემბრის დადგენილება №224 - სსმ III, №145, 14.12.2005 წ., მუხ.1616
საქართველოს მთავრობის 2006 წლის 15 ნოემბრის დადგენილება №210 - სსმ III, №155, 17.11.2005 წ., მუხ.2141
საქართველოს მთავრობის 2007 წლის 17 დეკემბრის დადგენილება №282 - სსმ III, №180, 20.12.2007 წ., მუხ.1989
საქართველოს მთავრობის 2008 წლის 17 დეკემბრის დადგენილება №243 - სსმ III, №182, 23.12.2008 წ., მუხ.1855
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №259 - სსმ III, №159, 30.12.2009 წ., მუხ.1953
საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №421 - სსმIII,№172, 31.12.2010 წ.,მუხ.2492
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 დეკემბრის დადგენილება №444 - ვებგვერდი, 06.12.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №731 - ვებგვერდი, 31.12.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 მაისის დადგენილება №229 – ვებგვერდი, 28.05.2015წ.

3. ბენზინის ხარისხის ანალიზისთვის გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო სტანდარტები(ისო) ან/და ევროპული ნორმები (ენ) ან/და საქართველოს მიერ აღიარებული მისი ეკვივალენტური სხვა მეთოდები და სტანდარტები.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 14 დეკემბრის დადგენილება №224 - სსმ III, №145, 14.12.2005 წ., მუხ.1616
საქართველოს მთავრობის 2006 წლის 15 ნოემბრის დადგენილება №210 - სსმ III, №155, 17.11.2005 წ., მუხ.2141
საქართველოს მთავრობის 2007 წლის 17 დეკემბრის დადგენილება №282 - სსმ III, №180, 20.12.2007წ., მუხ.1989
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24 ოქტომბრის დადგენილება №495 - ვებგვერდი, 25.10.2018წ.

პრემიერ-მინისტრი ზ. ჟვანია